

ავტორიტეტთა კონსტრუირების ნაციონალისტური სპეციფიკა
ქართულ ულტრა-მემარჯვენე ჯგუფებში

ქეთევან მურღულია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით დარჩიაშვილი, პროფესორი, პოლიტიკური მეცნიერებების
დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან მურღულია

ივნისი 2019 წელი

აბსტრაქტი

ეროვნული მოძრაობებისა და ეკონომიკური ექსპანსიების ფონზე, თანამედროვე სამყაროში მეტად მწვავე დისკურსად წარმოჩინდა ეროვნულ იდენტობასთან არსებული კრიზისები, რასაც მკვეთრად ულტრანაციონალისტური შინაარსი აქვს. გარდა ამისა მიმდინარე ნაციონალისტური კონფლიქტების ფონზე მწვავედ დგას საკითხი ზოგადად ნაციებისა თუ ერების წარმოშობაზე, რომელიც ერთგვარ უხილავ ბარიერებს ქმნის კულტურათაშორისი მობილობებისა თუ დიალოგებისთვის.

თანამედროვე სამყაროში არსებულ მულტიკულტურულ ფონზე კი ინდივიდთა და ავტორიტეტთა ფუნქციები ყურადღების ცენტრში მოექცა. ვინაიდან, სწორედ ულტრანაციონალურ დისკურსში წარმოჩინდა იდეოლოგიის შემქმნელ ავტორიტეტთა მნიშვნელობა ერის იდეის შექმნის პროცესში. ეროვნული ღირებულებებისა და რელიგიური ფასეულობების სინთეზმა კი შექმნა საფუძველი ულტრამემარჯვენე დისკურსის გაძლიერებისა.

ნაციონალიზმის მკვეთრი კონტურები განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება, როცა საქმე ეხება სამოქალაქო და საზოგადოებრივი მოძრაობების აქტივიზმს. მიმდინარე ნაშრომში ყურადღების ცენტრში მოექცა, როგორც ულტრამემარჯვენე დისკურსის ნაციონალისტური ეფექტების გამოვლენა, ასევე ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორიც არის ავტორიტეტების იდენტიფიცირება და გავლენების განსაზღვრა ქართულ ულტრანაციონალისტურ ფორმირებებში. მიმდინარე კვლევას კი ექნება, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული ცოდნის წარმოების შესაძლებლობა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ულტრამემარჯვენე დისკურსი, ავტორიტეტები, ულტრანაციონალისტური განწყობები, ეროვნული ღირებულებები.

Abstract

Against the backdrop of national movements and economic expansions, the crisis in national identity has shown a sharp discrimination in the contemporary world, which has sharply ultra-nationalist content. In addition, on the background of the current nationalist conflicts, the issue is generally a matter of origin of nations or nations that create invisible barriers to intercultural mobiles or dialogues.

On the multicultural background in the contemporary layer, the functions of individuals and authorities have become the focus of attention. Because in the ultrasonic discourse, the idea of authoritarian creators was created in the process of creating an idea of the nation. The synthesis of national values and religious values created the basis for strengthening the ultra-right discourse. Sharp contours of nationalism are particularly noticeable when it comes to activism of civil and public movements.

The current work has focused attention on the nationalist effects of alternative right discourse, as well as such an important component as identifying the authority and defines the influence in the Georgian ultra-nationalist formations. The current research will have the possibility of theoretical and practical knowledge.

Key search keywords: alternative right discourse, authors, ultra-nationalist attitudes, national values.